დანართი №2
დამტკიცებულია
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის
15.11.2013წ. №144/01-01 ბრძანებით

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა და მეცნიერთა ღვაწლის უკვდავსაყოფად და ისტორიულ-კულტურული ფასეულობების დაცვა-აღორძინების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამდგენი კომისიის მუშაობის წესი

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი”) გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა და მეცნიერთა ღვაწლის უკვდავსაყოფად და ისტორიულ - კულტურული ფასეულობების დაცვა - აღორძინების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამდგენი კომისია (შემდგომში - ,,კომისია”) წარმოადგენს უნივერსიტეტის რექტორის საკონსულტაციო ორგანოს, რომელიც განიხილავს უნივერსიტეტში გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა და მეცნიერთა ღვაწლის უკვდავსაყოფად და ისტორიულ-კულტურული ფასეულობების დაცვა-აღორძინების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, რის შემდგომაც სარეკომენდაციო წინადადებებს წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს.
2. კომისიის სხდომა მოიწვევა კომისიის თავმჯდომარის მიერ.
3. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას თუ მას ესწრება წევრთა 2/3 მაინც.
4. კომისია გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობით, ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.
5. კომისიის სხდომებს თავმჯდომარეობს კომისიის თავმჯდომარე.
6. კომისიის თავმჯდომარის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს კომისიის თავმჯდომარის დავალებით კომისიის რომელიმე წევრი. კომისიის მდივანი შესაძლებელია იყოს უნივერსიტეტის თანამშრომელი, რომელიც მოიწვევა კომისიის მიერ სხდომის ოქმების გაფორმების მიზნით.

კომისიის მუშაობა სრულდება მისთვის მინიჭებული ფუნქციის ამოწურვისთანავე ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.